№ 135 ივნისი 28, პარასკევი 1891 ივნისი 28, პარასკევი № 135

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება

დ. ზ. ბაქრაძის თხზულება

ისტორია საქართველოსი

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

ფასი ერთი მანეთი

(10—0—8)

ახალი ამბავი

*** ქალაქის გამგეობის თხოვნისა გამო წარსულ მაისის თთვეში პოლიციმეისტერმა თავის ხელქვეით მოხელეთა შემწეობით აცნობა ქალაქის მცხოვრებლებს, რომ დაუყოვნებლივ შეეტანათ ბუხრების გასაწმენდი გადასახადი, თითო ბუხარზედ ორი შაური, მაგრამ დღემდე არავის შეუტანია ეს გადასახადი. გამგეობამ ეს გარემოება ხელ-ახლად აცნობა პოლიციას და თანაც ისიც დაუმატა, რომ, თუ ბუხრები აქამომდე არ იწმინდება, ამის მიზეზი ისაა, რომ ხვედრს გადასახადს არ იხდიან სახლის პატრონებიო.

პოლიციმეისტრის მოადგილემ ეს ამბავი ხელ-ახლად გამოუცხადა თავისს მოხელეთ და ისიც მოაგონა, რომ მაისის ბრძანება დაუყოვნებლივ აღასრულეთო; დაიარეთ ბოქაულებმა სახლები თავ-თავიანთს უბანში და დაავალეთ სახლის პატრონებს, რომ ხუთის დღის განმავლობაში უთუოდ შეიტანონ ქალაქის კასაში ბუხრის გასაწმენდი გადასახადიო. თუ ხუთის დღის ვადას გადააცილებს ვინმე და გამგეობის კვიტანციას არ წარმოადგენს ფულის შეტანის დასამტკიცებლად, დაუყოვნებლივ ოქმი შეუდგინეთ და სამართალში მიეცითო.

ამასთანავე პოლიციმეისტრის მოადგილე უცხადებს ბოქაულებს, რომ ყოველ-დღე მაცნობეთ, რამდენი ბუხარი გაიწმინდა უბანში, ვის გამოეცხადა ფულის შეტანის ვადა და ვინ მიეცა სამართალშიო.

*** საქართველოს ეგზარხოსს, მთავარ-ეპისკოპოსს პალლადის უწმ. სინოდისათვის უთხოვნია, რომ კავკასიამ კიდევ ორს ადგილას გაიმართოს სამისიონერო სხვა-და-სხვა მწვალებელთა სწავლის საწინააღმდეგოდ საქადაგებლადაო. მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი აუცილებელ საჭიროებად სთვლის ამ საქმეს და იმასაც ამბობს, რომ წინად კავკასიაში მალაკნებსა და სხვა მწვალებლებს ასახლებდნენ და თავს უყრიდნენ, ასე რომ დღეს კავკასიაში ბლომად არიან ამათის მოძღვრების მიმდევარნიო.

მრავლდებიან კავკასიაში აგრეთვე შტუნდის მიმდევარნიცაო. მისიონერების მოძღვრება-ქადაგება საუკეთესო საშუალებაა ქრისტეს სჯულის „დაკარგულ ცხოვართა“ ხელ-ახლად ჭეშმარიტს გზაზედ მობრუნებისათვის და კავკასიაში-კი ესეთი მოძღვრება სრულიად არ არის დღემდე შემოღებულიო.

*** დიდი ხანი არ არის, რაც რუსეთის ზოგიერთს გუბერნიაში სააგრონომიო ინსპექტორობა შემოიღეს. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ ამ ახალმა დაწესებულებამ კარგი სარგებლობა მოუტანა საზოგადოდ მიწად-მოქმედობას და მთავრობას განზრახვა აქვს, სააგრონომიო ინსპექტორობა რუსეთის სხვა ადგილებშიაც შემოიღოს, მაგრამ ერთბაშად-კი არაო. ინსპექტორებად უმაღლესს სამეურნეო სასწავლებლებში სწავლადამთავრებულთ დანიშნავენო.

*** ჩვენ შევიტყვეთ სარწმუნო წყაროდამ, რომ ტფილისის საგუბერნიო საგლეხო დაწესებულების დროებითი განყოფილება ამ ზაფხულს აპირებს ახალციხისა და ახალ-ქალაქის მაზრებში გამგზავრებას ადგილობრივ საქმეთა გასარჩევად გლეხთა და მემამულეთა შორის. განყოფილება წავა ტფილისიდან 12 მკათათვეს. თავსმჯდომარედ განყოფილებისა დანიშნულია დ. ს. ნ. ზ. აქიმოვი; წევრებად—თ. ისე ნ. ჭავჭავაძე და თ. ნ. ს. აბაშიძე. განყოფილებას გაჰყვება აგრეთვე ამ დაწესებულების მდივანი ა. თ. ყიფშიძე.

როდესაც დროებითი განყოფილება ახალციხის და ახალ-ქალაქის მაზრებში საქმეების განხილვას მორჩება, შემდეგ წავა კახეთში სექტემბრისთვის და სულ ბოლოს ბორჩალოს მაზრაში განიხილავს რამდენსამე საქმეს.

*** წარსულს პარასკევს, 21 ივნისს, დანიშნული საბჭოს კრება არ შესდგა, რადგან საჭირო რიცხვი ხმოსნებისა არ მოვიდა. ამის სამაგიეროდ დღეს საღამოს დანიშნულია ხელ-ახლი კრება და, როგორც ამბობენ, უკანასკნელი ექნება ეს კრება შემოდგომამდეო. დღევანდელს კრებაზედ ისეთი საქმეები იქნება გარჩეული, რომელიც ყველაზედ უფრო საჩქაროა და შემოდგომამდის გადადება არ შეიძლება. ბ-ნი ქალაქის თავი მოახსენებს დღევანდელს კრებას იმ კომისიის მუშაობას, რომელმაც გამოიკვლია ქალაქის მილის წყლის ვითარება.

*** ამ თთვის 15 რიცხვიდამ 23-მდე ტფილისში ახლად გამხდარან ავად: ყვავილით 4, ამათგან გარდაცვლილა 3, ხუნაგით 7, გარდაცვლილა 2 და ქუნთრუშით გამხდარა ავად 1 კაცი. სულ ერთის კვირის განმავლობაში ავად გამხდარა 12 კაცი და ამათგან გარდაცვლილა 5, დანარჩენი 7 კაცი ავადვეა.

წინად-კი, პირველს კვირაში, სულ ავად გახდა 6 კაცი, მეორე კვირაშიაც 6, და ამათგან ორი გარდაიცვალა. ცხადია, სენი ვრცელდება ქალაქში.

*** ოდესიდამ ამ მოკლე ხანში ჩვენს მხარეს ორი უცხოელი ესტუმრება—საგეოგრაფიო საზოგადოებათა წევრები. ერთი მათგანი ბ-ნი მერცბახერი—გერმანიის საზოგადოებისა, მეორე—ბ-ნი ჰურტჩელერი—ავსტრიისა. ამათ განზრახვა აქვთ, ჩვენი მხარე გეოლოგიურად გამოიკვლიონ, განსაკუთრებით კავკასიონის ქედი. ამ მეცნიერთ თან ორი შვეიცარიელი ახლავთ, ისეთები, რომელთაც მთა ადგილებში გზების გაკვლევა კარგად იციან.

*** მთავრობა იუწყება, რომ, გარდა ბალტიის მხრისა, რუსეთის თავად-აზნაურობას ნება აქვს უმაღლესად სათხოვარის მირთმევისა ყოველს იმ შემთხვევაში, როცა ადგილობრივი საჭიროება მოითხოვს ამასაო.

*** ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციაში ცვლილება ხდება. როგორც გაზ. „კავკაზ“-ში ვკითხულობთ, სახალხო სკოლების ინსპექტორები ბ-ნნი გრენი და მონასტირცევი გადაყვანილ იქნებიან სხვა ადგილას იმავე თანამდებობაზედვე: პირველი — თერგის მხარეს, ხოლო მეორე—ერევნის გუბერნიაში.

*** კავკასიის ღვინო ნელ-ნელა თავისს შესაფერს ადგილს იჭერს თურმე და უფრო-და-უფრო ვრცელდება დიდს ქალაქებში. პეტერბურგის გაზ. „ნოვოსტი“ სწერს, რომ ჩვენის მხრის ღვინოები იმიტომ არის ეხლა პეტერბურგში დიდს ხმარებაში, რომ ჯერ ერთი კარგია და მერე უფრო იაფიც შედარებით სხვა მხრის ღვინოებთან. უკანასკნელს წლებში კავკასიის ღვინოები უცხოეთშიც-კი გააქვთ ბლომად, განსაკუთრებით საფრანგეთში, საიდამაც ისევ ბრუნდება თურმე რუსეთში, მაგრამ შეზავებულ-შეკეთებული და გადასხვაფერებულიო.

*** გაზ. „ტერსკია ვედომოსტ“-ში ვკითხულობთ: „სამხედრო მინისტრის უქვეშევრდომილესის მოხსენების გამო, მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ინება და ბრძანა, რომ კავკავის საბჭოს ხმოსნები წელს არ იქმნენ ამორჩეულნი ახალის ოთხის წლის ვადისათვის და ეხლანდელმა ხმოსნებმა განაგრძონ სამსახური იმ

ფელეტონი

საქართველო და მისი ისტორიული წარსული

რუსების შემოსვლა ტფილისში 1783 წ.

(შემდეგი, იხ. „ივერია“ № 133)

ოსმალეთი და სპარსეთი, რასაკვირველია, ცალიერ მაყურებლად ვერ დარჩებოდნენ. რაკი მიზეზი არა ჰქონდათ, პირ-და-პირ ჩამორევოდნენ საქართველოს სამეფო საქმეებში, ისინი სცდილობდნენ შინაურ განხეთქილების აღძრვას და ამით უნდოდათ, საქართველო ლეკთა შემოსევათა სისხლით შესვრილ მოედნად გარდაექციათ. არც ძნელი იყო ესა. მეომარნი, არავითარისამე ხელ-შეკრულებით არ ალაგმულნი, ლეკნი სიამოვნებით მისცვივდნენ თოფ-იარაღს და მათის შემოსევის პირველ მსხვერპლად ქიზიყი შეიქმნა. ორს ბატალიონს რუსის ჯარს, რასაკვირველია, არ შეეძლო დაცვა მთელის სამეფოსი და საჭიროება საკუთარის საბრძოლველის შეძლების გაუმჯობესებისა ცხადი იყო. ტფილისში მყოფი პოტემკინი დაემუქრა კიდეც ირაკლის—რუსის ჯარს ისევ ლინიაზედ*) გადავიყვან, თუ საკუთარს ღონეს არას ილონებო. ირაკლიმ მოისაზრა შეკრება მილიციისა, რომ დაესაჯნა საზღვარზედ მახლობელნი ლეკთა სოფლები მაინც. პოტემკინმა მოუწონა ეს მოსაზრება და ტფილისიდამ გიორგიევსკში მიმავალმა საქართველოში დაანარჩუნა გენერალი სამოილოვი და მიანდო უფროსობა ჯარისა და ხელმძღვანელობა ომისა.

საომრად განმზადებული ლაშქარი, ქართველთა ცხენოსანს ჯარს გარდა, შესდგებოდა ორისავე ეგერის ბატალიონისაგან 4 ზარბაზნით, ასტრახანის დრაგუნების ესკადრონისა და ასის დონის ყაზახისაგან. დრაგუნები და ყაზახები გამოგზავნილები იყვნენ პოტემკინის ცხენოსან მხლებელთაგან და ომიანობას შემდეგ ლინიაზედვე უნდა დაბრუნებულიყვნენ.

სამოილოვმა არ მოუცადა ქართველთა ლაშქრის თავმოყრას. თვით გასწია მტრის დასახვედრად და 4 ოქტომბერს უკვე ქიზიყში იყო, სადაც ირაკლიც მივიდა სამს დღეზედ. მეტის-მეტი უწესოება, მეტადრე სურსათის მხრივ, აბრკოლებდა მტერზედ მისევის საქმეს; ამ დროს-კი ლეკნი ჯარის თვალ-წინ აოხრებდნენ და იკლებდნენ მოსაზღვრე სოფლებს, რომლის მცხოვრებნი ამაოდ ითხოვდნენ შემწეობასა. რუსის ჯარს სახელი ნებას აღარ აძლევდა, მოეთმინა ეს სამარცხვინო ყოფა და სამოილოვმა დაბეჯითებით მოითხოვა სატევის ომის დაწყება. ირაკლი-კი არა ჩქარობდა და ამით მოთმინებიდგან გამოჰყავდა რუსის გენერალი. „დიდი უბედურებაა, სწერდა ამის გამო სამოილოვი: რომ ირაკლიმ თვით მიიღო უფროსობა თავის ჯარისა და თავის სარდლები არ გამოგზავნა. იმათ ძალას დავატანდი, ემოქმედნათ, ხოლო მეფესთან-კი მოხსენების მეტი არა შემიძლიან-რა. იგი ეთანხმება ჩემს რჩევას, მაგრამ აჩქარებით-კი არა ჩქარობს“.

რასაკვირველია სამოილოვი მართალი იყო ირაკლის სამდურავით, მაგრამ აუჩქარებლობა და სიფრთხილე მეფისა უნდა აიხსნას დიდის ხნის ომების მწარის გამოცდილებით: ირაკლიმ კარგად იცოდა ძლიერება გათამამებულის მტრისა და უფრო ნაკლებ რუსთა ძლიერება. მაგრამ, ეტყობა ღრმა მოხუცებასაც თავისი დაღი დაეკრა მეფის მხნეობისა და გამბედაობისათვის.

დრო გადიოდა და სამოილოვი ეჭვიანობდა—ვაი თუ ომიც სრულიად არ მოგვიხდესო, რაკი ხელშემწყობის დროთი არ ვისარგებლეთო. დადგა მოღრუბლული შემოდგომა, მშვენიერი დარები ავდრებით შეიცვალა და ოთხის დღე-ღამის განმავლობაში კოკი-პირულად აშხაპუნებდა განუწყვეტელი წვიმა, რომელმაც გზები დახრამა და თოფ-ზარბაზნის ტარება შეუძლებლად გახადა. ალაზანი თან-და-თან დიდდებოდა და ფონში გასვლა-გამოსვლა შეუძლებლად ხდებოდა. ამ დროს მოვიდა ამბავი, რომ დიდი ლეკის ჯარი მოდის განჯიდგან წყალს გამოღმაო. შეშინებულმა სამოილოვმა, ლეკები ეხლაც არ წამივიდნენ დაუსჯელად ხელიდგანაო, ირაკლის აღარ მოუცადა, მარტო რუსის ჯარით აიყარა ბანაკიდგან და 11 ოქტომბერს 1784 წ. სოფლის მუღანლოს ახლო (ალაზანზე) წააწყდა ლეკის ჯარს. რომ წყალ-გაღმა გასვლა არ დაესწყო მტერს, სამოილოვმა გარდი-გარდმო გადუჭრა აჩქარებულის მარშით გზა და გასწია, მაგრამ ლეკებმა მალე შენიშნეს რუსები, გაქანდნენ, წყლის ნაპირა ტყეში და გამაგრება დაასწრეს სამოილოვს.

გადასწყვიტეს ტყის აღება იერიშით. ორი რაზმი, ორას-ორასის ეგერით, პრინცის პოდპოლკოვნიკის გესსენრეინსფელდელის სარდლობით, მალე შემოერტყა ტყეს ორივ მხრივ და თავის ბატალიონების დახმარებით მიუხდნენ. თოფხანა მარცხნივ მხრიდგან ცეცხლსა ჰფენდა ტყესა და დიდად შეუწყო ხელი გამარჯვებას, მხოლოდ ცხენოსანმა ჯარმა ვერ მიიღო მონაწილეობა ადგილის უსწორ-მასწორობისა გამო და მარტო მოწი-

---

*) „ლინიად“ იწოდებოდა ყუბანიდგან თერგის შესართავამდე ციხე-სიმაგრეების წვრე მათში მოსახლე ყაზახებიანად.

პ. ცხვილ.

დრომდე, ვიდრე იქ ახალი საქალაქო დებულება არ იქნება შემოღებული“.

⁂ 26 ივნისს პოლიციის პირველს ნაწილში თავ. ხერხეულიძის სახლიდგან სახლის სახურავის ჟესტის ორი ფურცელი მოიპარა ვასილ ლატიშევმა, მაგრამ მალე მიასწრეს და შეიპყრეს.

⁂ ამავე დღეს რკინის გზის მახლობლად ანდრია სათვაროვმა პოვოსკის ქვეშ მოიყოლია პოლოსოვის ხუთის წლის ბავშვი. ბავშვმა იქვე სული განუტევა. სათვაროვი პასუხის გებაში მისცეს.

◆

არჩილური, შვიდ-თავი

(საამღრთო ამიცანები)

დ

† დიდის მამის შვილი არის, ბევრს მოველით მისგან ჩვენა,
აგერ ოთხი-ხუთის წლის წინ საიმედო რამ გვიჩვენა,
ვაქეთ, დიდად დავუმადლეთ, არ ვაკადრეთ არსით წყენა,
იყო გრძნობის წმიდა საზრდო მისი ნახვა და მოსმენა.
თარგმანს გვიძლვნის, თუ გამოთქმულს, განძი არის და შეძენა;
სულის მწარით ყველა უცდის, —გაუჰირდათ აწ მოთმენა.

◆

„როსტომიანი“

(ორიოდე სიტყვა „შაჰ-ნამე“-ს ქართულ თარგმანის შესახებ).

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 133).

როსტომიანის დასასრულსვე ხოსროვის და საბაშვილის თქმულთა შორის ვკითხულობთ:

„სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა
პირველად თარგმანულთაგან,
პატრონი ჩემი სვიმონ
სვიანამც არის სულთაგან,
მათსამცა ძეთა მოსწყდების,
რომე მოირჩონ მტერთაგან.
და (ჩემ?) ძმათა მათი წყალობა
ნუ მოეშლების ხმელთაგან (ხელთაგან?)
„ჴე გლახ გმართებს თაო ჩემო
ლოცვისაგან არ დასცხრია,
ღმერთსა ხშირად ეთაყვანე:
გაათავე, რაცა სთქვია.
მანუჩარით ბაჰმანამდის
ორსე თვესა დავსწერია
და ჭკვიანსა და მგონიარსა
მცოდარმან კაცმან ადრე მძლია.
„შუშტარს უბრალოთ ტყვეთ ვიყავ,
ფარსადან ლექსი სწერია:
არა მყავს მშველი მომხმარე
არც მეფე, არცა ერია,
ძმა მახლავს ჩემი უმცროსი
მელიქსად შვენიერია
და შველად იმედათ მეცა მყავს
მპყრობელი სახიერია“.

აქ მოყვანილ ხანათაგან პირველი იქნება ისევ ხოსროვს ეკუთვნის. მეფე სვიმონს ჰყავდა ყმა სულხან თურმანიძე [1]) და შესაძლოა ეს სულხან იმ ძმათაგანი იყოს, რომელთათვის ხოსრო პატრონის წყალობას ითხოვს. ყველა ამ გვარი წვრილმანი საგანი იმისი საძიებელია, ვინც როსტომიანის კარგი გამოცემის მსურველია, რამდენისამე ხელნაწერის ხელში ჩაგდებით, თავს იდებს მრავალსმხრივ და ხანგრძლივს გამოკვლევას „შაჰ-ნამე“-ს ქართულის თარგმანისას. მაშინ იქნება ისიც აღმოჩნდეს, რომ ეგ პირველი ხანა შემდეგ ხანებში მოხსენებული ფარსადანის ნაწერი იყოს. ადგილს კარგად შეესაბამება აგეთი მოსაზრებაც. დაამთავრებს რა ხოსრო თურმანიძე თავისს სიტყვას მით, რომ ადრე არ გაიგონებოდა სრულად ბარზუ სპანდიარის ამბავი და ეს ძველის თარგმანის ნაკლი მე შევასრულეო, ფარსადანი დასძენს, რომ სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად თარგმანულთაგან და აი მეც ჩავურთე რამეო. ფარსადანი თავისს თავს ეუბნება: „გაათავე, რაცა სთქვია!“ მაგრამ ამ სიტყვათ თქმის დროს ვითომ როსტომიანის ამბავი ჰქონდა სახეში? მართალია, თითონ გვაცნობებს, მანუჩარით ბაჰმანამდის ორსე თვესა დავსწერიაო, მაგრამ აქ ის სწრაფ წერის ჰუნარს იქებს და დაწერით გადაწერას გულისხმობს, თორემ ამბავი „მანუჩარით ბაჰმანამდის“ მთელს ჩვენს როსტომიანს შეადგენს და ეს რომ ფარსადანს მივათვისოთ, ხოსრო თურმანიძე და სოგრატიძე საბაშვილი ხომ ხელ-ცალიერი დაგვრჩა! თავის ლექსის წერას მეორე ჯერაც იხსენიებს ზემოდ მოყვანილის მე-III ხანის პირველს ტაეპშიც:

„შუშტარს უბრალოთ ტყვეთ ვიყავ,
ფარსადან ლექსთა სწერია“.

იქნება ზოგან რაიმე მართლაც ჩაუმატა ფარსადანმა თვით ამბავს როსტომიანისას. დასტურაც, ჩვენ სხვა წყაროდგანაც შეგვიძლიან აღმოვაჩინოთ, რომ ეგ ფარსადან, ცუდად თუ კარგად, მელექსეობდა. მაგრამ საჭიროა, ადრე ფარსადანის ვინაობა გავიცნათ. ვინ გვეგულავება ჩვენ აგეთი ფარსადანი, რომ შუშტარს ტყვეთ ყოფილიყოს, მფარველი არავინ აღმოსჩენოდეს ქართველთაგან, არც მეფე, არც ერი და ძმა ჰყოლოდეს მელიქსად და თავის იმედი მხოლოდ ღმერთზედ მიეგდოს? ამას გარდა რომ ქართველთა მეფისვე ძულვილით განსაკუთრებით გამსჭვალული ყოფილა იგი და მაბეზღრად ხადის მას, სჩანს მისსავე სიტყვებიდგან ხელნაწერის მე-8 a და მე-8 b გვერდზე:

„ქართველთა მეფემ მაბეზღა ხელმწიფეთ ერანელთანა,
არ გამიკითხეს, არაბეთს უბრძანეს ჩემი წატანა,
წამოველ, ღმერთსა მივენდევ, ვერ მომატყუებს სატანა
და არას ვეპუო, თუ ღმერთი წყალობით იყოს ჩემთანა.
„რაცა მიწას დაენარცხოს, მხთის (ღვთის) ბრძანებით აყვავდება.
ყანაში არა ამოვა თესლი, მიწით გამწვანდება.
თუმცა ორბი ზეცაშია, არა ოდეს არ გამდება.
და ფარსადან, შენ მიწათ იქეც, ღმერთს მონე და გეშველება.
„მღთისა (ღვთისა) წინაშე ადვილ არს [2]) ტახტის მაგიარ სუდარა:
ჯვართა სანაცვლოდ მიწათა გაუთავდების ზუდარა,
შესჭამს ჭია და დამლების, ზოგნი შიგ დაიბუდარა.
და ფარსადან, იმ დღეს შენ სჯობხარ! მის უკეთესი გინდა-რა?“

აგეთ ფარსადანად ჩვენ მიგვაჩნია—ფარსადან გიორგი ჯანიძე, ავტორი საისტორიო წერილებისა მაშინდელს საქართველოს შესახებ [3]). ფარსადან გიორგი ჯანიძე მართლაც გაგზავნილი იყო შუშტარში ტყვედ, არაბეთის ამ მცირე ქალაქში. მან გადმოთარგმნა ქართულად შიიტელ მუსულმანთა სჯულის დება „ჯამი-ყულ-აბას“, მასვე ეკუთვნის რამდენიმე მცირე თხზულება, მათ შორის მცირე ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი [4]), ლექსებსაც სწერდა [5]) და ჰყავდა ძმა მელიქ სადათ [6]), რომელიც ლექსთა ზომის მოთხოვნილების გამო როსტომიანის დასასრულს ზემომოყვანილს ლექსებში „მელიქსად“-ად არის სახელწოდებული. „ჯამიყ-ულ-აბასი“-ს თარგმანის შესავალში ფარსადან გვაუწყებს, რომ შუშტარში ექვსი წელი დაუყვია. ერთი წელი მისი შუშტარში ყოფნისა ბროსეს გამოანგარიშებით [7]) 1666 არის. მაშ 1671 წელშიც შესაძლოა ფარსადანი შუშტარში ყოფილიყოს და სწორედ 1671 წელს ვპოულობ აღნიშნულს საჯარო წიგნთსაცავის ხელნაწერზე. მაგრამ ავტოგრაფია ფარსადანისა ეგ ხელნაწერი, თუ მხოლოდ მისი პირი, რომელშიც შემთხვევით დაცულა დედან-ხელნაწერის ქორონიკონი (1671?) ქართული პალეოგრაფია შემუშავებული არ არის და ჩემის მცირე გამოცდილებით ხელნაწერი ამ მხრითაც მე-XVII საუკუნეს ეკუთვნის.

უფრო დამჯდარი შესწავლა როსტომიანის ხელნაწერებისა, უფრო ბეჯითს ცნობებს მოგვცემს ხელში და არა თუ შეავსებს ჩემს მოხსენებას, იქნება კიდევაც შესცვალოს ზოგიერთი აქ მოხსენებული აზრი, მაგრამ ზემოთქმულთაგან მგონი ეჭვს გარეშე ცხადია, რომ „შაჰ-ნამე“ არა ერთხელ უთარგმნიათ ქართულად, თუმცა ნაწილ-ნაწილ როსტომიანის მთარგმნელი და გამლექსველი მარტო ხოსრო თურმანიძე არ არის და კერძოდ, აქაურს საჯარო წიგნთსაცავში დაცულ როსტომიანის ხელნაწერი ძვირფასი ხელნაწერია. აიმიტომ სასურველიც არის, გამომცემელმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ბეჭდვის დროს მოიხმაროს.

დასასრულ კიდევ ერთი მაგალითი პოეტის თუ გადამწერთა ნაწერთაგან როსტომიანის იმავე ხელნაწერში (54 b გვერდი):

„ბაგრატ ვნახე, მარანსა ჯდა, მუსრანს შექმნა ნადიმობა,
ხელყო საუდართ აშენება, დაიჭირა ბატონობა,
მეელი ტახტი გაასხლა, ჭპოა ღვთითა მორჭმულობა
და ნამლევი ვარ რუსთველთანა, მეტი ექმნა ჩემოდნობა.
რას მიმერჩი ბერი ბერსა, მე გავლექსე ღამაზ ენა,
აშიყი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დაამშვენა,
შენ ტყუილად შემოგფიცეს. მათ აუბნეს მათი ენა
და თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა.
ვიცი, ჩემო სერაპიონ, ხარ მრავლისა მონახული.
მეფე უნდა ღვთის მოშიში, სიკეთითა დანერგული.
ამ სოფლისა დიდებასა მირჩევნია მცირე სული
და არას მარგებს საუკუნოს საბრჭოთ შენი ჭირთნახული“.

ნ. მ.

პეტერბურგი. 29 მაისს

---

[1] Hist. de la G., II p., I l., p. 36, n. 4.

[2] ხელნაწერში—ადვილია.

[3] Hist. de la G., II p., I l., pp. 509—577.

[4] ნახე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავში მუსულმანთა სჯულის დების (ჯამიყ-ულ-აბას) ხელნაწერი; აგრეთვე Hist. de la G., II p., I l., p. 513.

[5] ib., p. 513.

[6] ib., p. 512.

[7] ib., p. 513.

◆

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამ რამდენისამე ხნის წინად ჟურ. „Revue Scientifique“-ში დაიბეჭდა ბ-ნ გალპერინ-კამინსკის მიერ ფრანგულს ენაზედ გადათარგმნილი გრაფ ლევ ტოლსტოის ეტიუდი ღვინისა და თამბაქოს შესახებ. მთარგმნელს ეს ეტიუდი საფრანგეთის ბევრ გამოჩენილ კაცისათვის გაუგზავნია და აზრი უკითხავს. ეს აზრი სხვა-და-სხვა მწერალ-მეცნიერთა დაბეჭდილია „Figaro“-ში. გუშინ ჩვენს ნარკვევში მოყვანილი გვქონდა გაზ. „Gil

---

ნავესა და ზურგის ჯარს აკავშირებდა. ამ დროსვე, პირველ ზარბაზნის გასროლისათანავე, მოვიდა ქართველთა ჯარიც, მაგრამ ირაკლიმ საერთო ზურგის ჯარად დააყენა.

ლეკები აცვივდნენ ხეებზედ და საშინელი სროლა გამართეს, მაგრამ ხუთის საათის შეუფერხებელ ბრძოლას შემდეგ ტყე დასცალეს. ტყიდგან გამოსულნი გაექანნენ ალაზნისაკენ ცურვით გასასვლელად, მაგრამ აქ ოთხი კარტეჩის ზარბაზანი დახვდათ და საშინლად იჟლიტებოდნენ თვით მდინარეში. ალაზანი სისხლით შეიღება და თითქმის შეგუბდა კაცთა და ცხენთა ლეშისაგან. ისე ძლიერ დამარცხდნენ, რომ მარტო ტყეში ორასზე მეტი მკვდარი დარჩათ და, თავისს საღმთო ჩვეულებისამებრ, წაღებაც-კი ვერ მოასწრეს. რუსებს მაგდენი ზარალი არა მოსვლიათრა, მაგრამ, სამწუხაროდ, გამარჯვების ერთი მიზეზთაგანი, პრინცი რეინსფელდისა, სასიკვდილოდ დაკოდილ იქმნა და მალე სულიც დალია. მისი გვამი დასაფლავებულ იქმნა ტფილისის ერთს (?) ეკკლესიაში. ეს იყო პირველი მსხვერპლი და პირველი რუსის სისხლი, დაღვრილი საქართველოს განთავისუფლებისათვის. სამოილოვმა იქვე ბრძოლის ველზე გაათია ღამე და 20 ოქტომბერს დაბრუნდა ტფილისში.

ესე ხელ-და-ხელ გამარჯვებას ლეკებზე ის დიდი შედეგი მოჰყვა, რომ ყველგან შეირყა რწმენა ლეკების დაუმორჩილებლობისა და მათის თავდაუჭერელ ვაჟკაცობისა. გახარებული მეფე ტფილისში დიდის ამბით დაუხვდა რუსის ჯარსა და სამოილოვი მიიწვია საკრებულო ტაძარში, სადაც კათალიკოს პატრიარქი ელოდდა სამადლობელის პარაკლისის გადასახდელად. დიდის თოვლისა და ნამქერების გამო მთის ხევ-ღრანტენი გაუვალი შეიქმნა და დროებით შეაყენეს ომიანობა. მაგრამ, დადგა თუ არა გაზაფხული, 1785 წ. აპრილში დიდი თარეში ლეკ-ოსმალოს ჯარისა შემოესია ქართლს. იგი შემოვიდა ბორჯომის ხეობაში, რამდენიმე სოფელი აიკლო და ექვსასამდე ტყვე ქართველი წაასხა. იმ დროს სურამში იდგა მაიორი სენნენბერგი ბელორუსის ბატალიონის ნაწილით. იგი გაუძლვა 200 ეგერს ერთის ზარბაზნით და გამოუდგა მდევრად, წამოეწია სურამიდან შვიდს ვერსზე მტკვრის ნაპირას, სოფ. ხაშურის მახლობლად. მტკვრის კლდოვანს ნაპირას მიმწყვდეულნი ლეკ-ოსმალნი ამაოდ სცდილობდნენ, იარაღით გაეკაფნათ გზა დ გადაერჩინათ თავი. ეგერები უკანვე აბრუნებდნენ, მეხსა სცემდნენ კარტეჩით და ჰჟლეტავდნენ თოფით. ოთხს საათამდის გასტანა ომმა და დაბოლოვდა მტრის საშინლად დამარცხებით. 1300 მკვდარი მეტი დარჩა იქავე და ასობით ლეში მოჰქონდა მტკვარს ტფილისამდე. უფრო დაზარალდნენ ოსმალნი, რომელთაგან მარტო 200 კაცი ტყვედ იქმნა შეპყრობილ. გამარჯვებას მთელი საქართველო დღესასწაულობდა.

ლეკთა ძლევა-მოსილებას აზრუ გაუტყდა. მაინც ერთხელ კიდევ ჰსცადეს ბედი, რომ გატეხილი სახელი აღედგინათ, და ხელ-მეორედ შემოესივნენ ქართლს. იგივე მაიორი სენნენბერგი დაუხვდა მტკვრის ნაპირას და 28 მაისს საშინელი ომი მოხდა. ქართველთა ცხენოსანი ჯარი, პირველ შებმელი ომისა, გამოაქციეს და ამით წაქეზებულნი ზედ მოესივნენ რუსის ქვეითა ჯარს. მედგარი და ყოვლის შემმუსრველი იყო ლეკ-ოსმალთა მამაცობა, მაგრამ ეგ უკანასკნელი აპრიალება-ღა იყო, უკანასკნელი მკრთოლვარება საშინელისა და სისხლის მჩქებ დიდებისა, რომელიც ოდესმე თავს ევლებოდა ლეკთა ბაირაღებს. ყველგან დახვედრილ შეუმუსრველის რუსის „შტიკებით“ მტერი შედრკა, აირია და გაიქცა. ომის ველზე 300 მკვდარი დასტოვეს. „ჩვენის მხედრობის მამაცობის მაგალითსა“ — სწერდა ამის გამო პოტემკინი ბურნაშოვის: უნდა დაანახვოს მეფესა და ყოველთა ქართველთა, რამდენად საკეთილდღეოა მათთვის ყოფნა რუსეთის მხედრობის ფარ-ხმლის საფარველსა ქვეშე“.

რუსთა გამარჯვებამ ქართლ-კახეთში უცებ ვერ დაამკვიდრა მშვიდობიანობა და უშიშროება საქართველოში და შავი ღრუბელი ხელ-ახლად იკრიბებოდა საქართველოს ცაზედ. აგვისტოში მოვიდა ამბავი—საზღვრებზედ მტერი მრავლად იკრიბებაო. ახალციხეში იკრიბებოდა ლეკ-ოსმალთა ბრბო, დაღისტნიდგან მოიწევდა ომარხანი ავარელი, შინ თათართა ელნი მერყეობდნენ და ჰლამოდნენ ქართველთა უღლისაგან თავის დაღწევას. ებგურნი (пограничные лазутчики) ზედიზედ მოდიოდნენ, მოჰქონდათ ერთმანეთზედ უარესი ამბები და ურჩევდნენ ქართველებს, — ცოლშვილი და ქონება გაეხიზნათ. ყველაზედ მეტად ომარხანი აფიქრებდა ირაკლის; 15 ათასის ჯარის კაცი მზადა ჰყავსო, ამბობდნენ მოამბენი. მეტად გაჭირვებული დრო დაუდგათ ქართველებს. ირაკლი საზღვრების დაცვას აღარა ჰფიქრობდა: უბრძანა ყველას, თავი მოეყარათ ოთხს ადგილს და გამაგრებულიყვნენ. ეს ოთხი ადგილი იყო: ტფილისი, გორი, თელავი და სიღნაღი. ბურნაშოვი ორის ბატალიონით გამაგრდა ტფილისში და მზად იყო ჯარით მიეშურებინა იქით, სადაც მტერი გამოჩნდებოდა და დაჰკრავდა პირველად. კავკასიის ლინიაზე მხედრობის სიმ-

Blas“-იდგან ამ შესანიშნავ კაცთა აზრი იმის შესახებ, თუ დედაკაცს რა გავლენა აქვს მწერლის სალიტერატურო მოღვაწეობაზედაო. დღეს „Figaro“-დგან მოგვყავს იმათივე აზრი ტოლსტოის მიერ აღძრულ საგნის შესახებ.

შარლ რიშე სწერს:

ტოლსტოის წვლილად გამოუკვლევია ღვინოსი და თამბაქოს მავნებელ-მაზარალებელი გავლენა და ამ საგნის შესახებ არა მცირე ჭეშმარიტი და ღრმა აზრი აქვს გამოთქმული, მხოლოდ იქნება ცოტა-კი აზვიადებდეს საგანს. ჩვენ მოვიხსენიებთ მხოლოდ იმ ადგილებს მისის ეტიუდისას, რომელიც გაზვიადებული გვგონია. ტოლსტოის აზრით, ადამიანი იმიტომ ეწევა პაპიროსს, ან სიგარას, რომ სინიდისს თავისას ხმა გააკმენდინოს და დაიჩლუნგოს, რომ მან მის მიერ ჩადენილ ცუდის საქციელის პასუხის-მგებლობა არ აგრძნობინოს. ეს შენიშვნა ტოლსტოისა მართალი რომ იყოს, მაშინ „სინიდისს“ სულ განკერძოებული მნიშვნელობა მიეცემა. ადამიანი იმიტომ-კი არ ეწევა თამბაქოს, რომ ცუდი რამ ჩაუდენია, არა, მას მხოლოდ უნდა დაიბლაგვოს გრძნობა თვისი და ისეთს გუნებაზედ დააყენოს თავი, როცა ადამიანს აწმყო, აწინდელი ვითარება ცხოვრებისა ისე გარკვეულად ვეღარ წარმოუდგენია. ეს აწმყო ხშირად ძალიანაც სასიამოვნო არ არის ადამიანისათვის, არც ზნეობის მხრივ და არც ფიზიკისა და ფიზიოლოგიის მხრივ. ხშირად სადილის წინ, ან შემდეგ, ძილის წინა და შემდეგ და სხ. ადამიანს გონება უმძიმდება, გულს უთანაღრის ის გრძნობა, რომ ცხოვრება ცუდად არის წარმართულიო, და აი, სწორედ ამიტომ ეწევიან თამბაქოს, რომ ეს გრძნობა დაიჩლუნგონ. ადამიანი ჩვეულების გამო ეტანება თამბაქოს. მის მოწევა გრძნობის ამაძგერ, ან, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, დამაჩლუნგებელ ყოვლად საჭირო საშუალებად არის გადაქცეული. ამასთან არა მგონია, რომ გონების მოღვაწეობაზედ გავლენა რამ ჰქონდეს თამბაქოს. თამბაქო სულიერად მავნებელი საწამლავი არ არის იგი მხოლოდ ადამიანის სხეულზედ ჰმოქმედებს. მაინც-კი თამბაქოც საწამლავია და საფრთხილო საწამლავიც, თუმცა არა ალკოჰოლსავით მავნებელი. კაცობრიობა ყოველთვის ჰგრძნობდა თავის ასაძგერ, ან დასაჩლუნგებელ ხელოვნებითს საშუალების მოთხოვნილებას. ასეთი საშუალებაა თრიაქი, ხაშიში, თამბაქო, ალკოჰოლი. რასაკვირველია, სასურველია, რომ ამ ჩვეულებას ძირი აღმოეფხვრას. მე დარწმუნებული ვარ, ყველა ისურვებს, რომ ჩვენმა ცივილიზაციამ, რომელიც თანდათან წინ მიდის, ბოლო მოუღოს ამ თავის მომწამვლელს ჩვეულებას.

ჟულ სიმონი:

მე ალკოჰოლის დაუძინებელი მტერი ვარ; ალკოჰოლი ჭირზედ უარესია, რადგან მუდმივი ჭირია. რაც უნდა დიდებული კაცი იყოს, ტოლსტოი ამ მტრობასა და სიძულილს ვეღარ გამიძლიერებს. ვინ იცის, იქნება ზოგიერთი ამ ჭირით სნეული დაარწმუნოს, რომ მავნებელია ეგ თქვენი ჩვეულებაო, და ამაზედ უკეთესი აღარა იქნება-რა, თუმცა ვეჭვობ-კი, რომ ტოლსტოიმ დაიყოლიოს და იმისს მაგალითს საქმით მიჰბაძოს ვინმე.

ალფონს დოდე:

ნება მომეცით, მოგახსენოთ, რომ ტოლსტოის ტარასკონელებსავით სწორედ ყველაფრის გაზვიადების სენი სჭირს. ვინ ამბობს, დიდი უბედურებაა ბოროტად ხმარება თამბაქოსი და ალკოჰოლისა. ამისდა მიუხედავად, სწორედ დიდად სასიამოვნოა კარგი პაპიროსი სადილს შემდეგ, ორ ჭიქა კარგ არაყს შუა. რაც შემეხება მე, ალკოჰოლი გრძნობის ამძგერებელ საშუალებად არასოდეს მგონებია და არც არასოდეს მიხმარია. პირ-იქით, როცა ჭაბუკი ვიყავი და დათრობა მომიხდებოდა, ერთის სტრიქონის მოფიქრებასა და დაწერვასაც-კი ვერ შევიძლებდი ხოლმე. მეორეს მხრით, ბევრს ვეწეოდი თამბაქოს მუშაობის დროს და, რაც უფრო ბევრს ვეწეოდი, მით უფრო უკეთესად ვმუშაობდი. არასოდეს არ შემიმჩნევია, რომ თამბაქოს რამ ზიანი მოეტანოს ჩემთვის. ბუნებამ ერთის ძვირფასის თვისებით დამასაჩუქრა—ეს ძვირფასი თვისება ის არის, რომ პაპიროსის ბოლიც-კი ვერ ამიტანია, როცა ოდნავ არის მაინც ცუდადა ვარ.

ემილ ზოლა:

თამბაქოსა და ღვინოს თავი დავანებე და ამის გამო ჩემი თავი უფრო დაჭკვიანებულად არ მიმაჩნია, რადგან ხელის აღება ჯან-საღობის ზრუნვამა მყო იძულებული. სწორედ ყველა უბრალო ამბის დრამად ქცევის უნარი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ტოლსტოის აზრისა იყოს, ვითომ-და ადამიანი თუ ეტანება თამბაქოსა და ღვინოს, იმიტომ ეტანება, რომ სინიდისი დაიბრუოს და ცოდვის ჩადენა უფრო ადვილად შეიძლოსო. ჩემის აზრით, ამას უფრო სისულელითა და გულ-უბრყვილობით სჩადის ადამიანი. სვამენ სიამოვნებისათვის და თამბაქოს ეწევიან ჯერ ჯიუტობისა და შემდეგ ჩვეულების გამო. რად უნდა დავუშალოთ ეს სიამოვნება და ჩვეულება იმათ, რომელთაც ამით სულ არა უშავდებათ-რა?

შარკო:

იძულებული ვარ, აღვიარო, რომ დიდადაც არ მომწონს ტოლსტოის წერილები. ამ წერილებში ყველაფერი გაზვიადებულია, და რაც გაზვიადებულია, ის ხომ მართალიც არ არის. ალკოჰოლი და თამბაქო შეიძლება მავნებელიც იყოს, მაგრამ, როგორც დიდ-ძალი მაგალითი გვიჩვენებს, ეს მავნებლობა ხელს არავინ უშლის, რომ ზომიერად იხმაროს. ამასთან ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ვიდრე ალკოჰოლისა და თამბაქოს ხმარება ჩვეულებად გახდებოდა, ქვეყნიერობაზედ საშინელი ამბები ხდებოდა. იმათ გავრცელების შემდეგ ადამიანის ზნე-ჩვეულება უფრო განუკეთესდა. განა აქედგან ის არის საფიქრებელი, რომ თამბაქო და ალკოჰოლი ზნე-ჩვეულებას ადუხჭირებს და უვარგისად ჰქმნისო?.. ყოველივე უკიდურესობა მძაგს და არ მომწონს. მე მხოლოდ გონიერების თაყვანის-მცემელი ვარ და არა მგონია, ტოლსტოი გონიერად იქცეოდეს თავისის აზრის წარმოთქმით.

კატრფაჟი:

გმადლობთ ტოლსტოის წერილის გამოგზავნისათვის. სამწუხაროდ, მეტის-მეტად ვარ გაბმული საქმეებში და ეს გარემოება მიშლის ხელს, რომ ყოველივე ვსთქვა, რასაც მაგ საგნის შესახებ ვგრძნობ. საერთოდ-კი იმ აზრისა ვარ, რომ ბ-ნმა რიშემ კარგად დააფასა, როცა პარადოქსი უწოდა შესანიშნავ მწერლის აზრს. მართლაც-და, რუსთა რომანის და ფილოსოფოსის გზას რომ დაადგეს ადამიანი, ადვილად დაამტკიცებს, რომ ამ ქვეყნად კარგი არა მოიპოვება-რაო.

შარლ გუნო:

ისეთის გულ-დადებითა და ყურადღებით წავიკითხე ეს კეთილშობილი გამოკვლევა, როგორისაც ღირსია დიდად პატივცემული სახელი დამწერისა. გულ-ახდით აღვიარებ: სრულიად ვეთანხმები ტოლსტოის ყოველს აზრს თამბაქოსა და ალკოჰოლის მავნებლობის შესახებ. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ არა მგონია, თუ სინიდისი სრულიად გაუბრუოს ადამიანს თამბაქომ; სინიდისი მეტად ძლიერია და ადამიანის ხელ-ქვეით არ არის. თამბაქო ბევრი მომიწევია, მაგრამ არ მახსოვს-კი, რომ მით ჩემის სინიდისისათვის ჩემი უზნეო საქციელი შემეწყნარებინებინოს.

ჟან რიშპენი:

ტოლსტოის გამოკვლევამ დიდი ყურადღება მიიქცია ჩემი. სრულიად ვერ დავეთანხმები, რადგან, ჩემის აზრით, ტოლსტოი მეტად აზვიადებს, როცა ამბობს, რომ ვითომ ამ საწამლავს ადამიანი სინიდისის გასაბრუებლად ეტანებაო. მე ვფიქრობ, რომ ამ საშუალებით ადამიანს თავისის მე-ს უარ-ყოფა უნდა. სიმთვრალის დროს ადამიანი ვეღარასა ჰგრძნობს-რა. უზნეობად რად უნდა ჩავუთვალოთ ეს უგრძნობლობის სურვილი? მართალია, თამბაქო და ალკოჰოლი სიცოცხლეს უმოკლებს ადამიანს, მაგრამ ათასში ერთხელ დავიწყების მორევში ჩაყურყუმელავება-კი დიდი არაფერი ცოდვაა.

ფეი:

ტოლსტოის აზრი ალკოჰოლის შესახებ სამართლიანი აზრია. რაც შეეხება თამბაქოს, აქ-კი ცოტა გაუზვიადებია საგანი. ზოგიერთს განსაკუთრებულს შემთხვევას გარდა, თამბაქო უმეტესად გასართობია. ადამიანი ცხოველია, რომელიც მოიწყენს ხოლმე კიდეც, და ამიტომ გართობაც აუცილებლად უნდა. საკვირველი ის არის, რომ თამბაქოს ხმარების დროს თამბაქოს ბოლს, რომელიც პირიდგან რგოლებად გამოდის, უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე იმის მცირედ დამათრობელს თვისებას. ღამე არ ეწევიან და უსინათლონიც არ ეკარებიან თამბაქოს.

ჟულ კლარეტი:

არა ვსვამ და არც არაოდეს მომიწევია. მაინც-კი მგონია, რომ ტოლსტოი მეტად სასტიკად ეკიდება თამბაქოსა და ღვინის ხმარების ჩვეულებას. ღვინო ხშირად მხიარულს გუნებაზედ აყენებს ადამიანს, პაპიროსი—ართობს. ყოველთვის არ ჩაადენინებს ხოლმე დანაშაულს ადამიანს არც ერთი და არც მეორე. ერთს თავისს ბრძანებაში ლიუდოვიკ მე-XIV ერთ გვარად ჰკიცხავს თამბაქოს ხმარებასაცა და ქაღალდის თამაშობასაც. ტოლსტოიც დაეთანხმებოდა იმისს აზრსა. ვიქტორ ჰიუგომ ჩემთან დიდის სიხარულითა სთქვა, რომ ოთხმოცის წლის განმავლობაში, რაც დავბადებულვარ, არც მომიწევია და სმით-კი ერთი ბოთლი მაგარი სასმელიც-კი არ დამილევიაო. იქნება ესეც იყოს მიზეზი, რომ ჯან-მრთელობით თავი მოჰქონდა ხოლმე. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, დიდად სავარაუდოა, რომ ტოლსტოის აზრს მხარში ამოუდგებოდა. ალკოჰოლიზმი, ეჭვი არ არის, აწინდელ კაცობრიობის დიდი წყლული და დიდი სატკივარია. გრაფ ტოლსტოის წერილისთანა წერილები ნიადაგს ამზადებს, რომ ამ სატკივარს მხნედ გაუმკლავდეს ქვეყანა. ტყუილად სცდილობს დაამტკიცოს რუსეთის რომანისტი, ვითომ სევასტოპოლთან ბრძოლის დროს საფრანგეთის ჯარის-კაცები ყველანი დალეულები და ნასვამები იყვნენო. გმირობასა და გამბედაობას სულ სხვა მიზეზი აქვს. თუ არა გჯერათ, აბა ბოსკეს, ან ტოტლებენსა ჰკითხეთ.

ფრანსისკ სარსე:

გამოცდილებით ვერას გეტყვით, რადგან არც ვეწევი და არც სმა მიყვარს. გარემოებასა ვსთვლი იმის მიზეზად, რომ, წლოვანების მიუხედავად, ჯერ კიდევ ჯანსაღადა ვარ, თუმცა დიდად საჩქარო საქმეს ვადგევარ, სეირნობით იშვიათად ვსეირნობ და საღამოს ყოველთვის თეატრების დახშულს ჰაერში ვატარებ.

ე. მელხიორ დე-ვოგუე:

ძნელად შემიძლიან მუშაობა, თუ თამბაქოს არ ვეწევი. როცა ცუდად ვარ ხოლმე, იქნება თამბაქოსაგანაც, ექიმს ვკითხავ რჩევას. თუ ექიმი არ ეწევა, მაშინვე ჩემს პაპიროსსა სდებს ხოლმე ყოველს ბრალს; თუ ეწევა, ცუდად ყოფნის მიზეზს სხვას ასახელებს. ეს უკანასკნელი აზრი უფრო მომწონს, რადგან ჩემს ჩვეულებას არაფერს ერჩის.

ორელიენ შოლლი:

ჩვენში-კი ითქვას-და, მე მგონია, რომ ლევ ტოლსტოიმ ამ ბოლოს დროს თავად აიღო ხელი თამბაქოსა და მაგარ სასმელებზედ და ეს წერილიც იმიტომ დაუწერია, რომ თავისი თავი დაარწმუნოს, თამბაქოცა და ღვინოც დიდად მავნებელიაო.

ლ. პასტერი:

დიდად ვწუხვარ, რომ გრაფ ლევ ტოლსტოის გამოკვლევის შესახებ ვერას ვიტყვი. არც ვეწევი და არც სმას ვეწყობი.

ჟ. ეიფელი:

მაგ საგნისთვის ყურადღება არასოდეს არ მიმიქცევია და ამიტომ საყურადღებოს ვერას ვიტყვი-რას.

წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ოცდა-ორს მან., შეგროვილს ახალ-ქალაქელ ქართველთა შორის, ჩვენის ნეტარ-ხსენებულ პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გვამის გადმოსასვენებლად ქ. განჯიდამ ქ. ტფილისში, ანუ მისთვის ძეგლის დასადგმელად.

აი სია შემომწირველთა:

	მ.	კ.
დიმიტრი ივანეს ძე მუსხელი-შვილმა — —	3	„
ვინმემ — — —	3	„
გიგო თარხან მოურავმა —	2	„
ფეზულა ბეგი ათაბეგოვმა —	2	„
ვასილ ლომინაძემ — —	2	„
ივანე როსტომაშვილმა —	1	„
ილიკო უზნაძემ — —	1	„
ზაქარია უთნელაშვილმა —	1	„
კვირკაშვილმა — —	1	„
მელიტონ აბაშიძემ —	1	„
სანდრო ფიცხელაურმა —	1	„
პეტრე კერკესალოვმა —	1	„
მღვდელმა იოსებ ჩიტაძემ —	1	„
ალექსანდრე იაგოლიევმა —	„	50
სერგეი მიტრაფანოვმა —	„	50
№ — — —	1	„
სულ . .	22	„

პარმენი

22 ივნისს.

დეპეშა

26 ივნისს

პეტერბურგი. რომ იმ ადგილებიდგან, სადაც ან უკვე მოიპოვება შენა-

ცირე ხელს უშლიდა პოტემკინს, შემწეობა მოეცა ირაკლისთვის და დიდად სწუხდა. ჩაჩნები და ყაბარდოელნიც იმ დროს აიშალნენ. გზები შეკრული იყო და ტფილისში მყოფი ჯარი დამწყვდეული იყო და დაღუპულად ჩათვლილი. ბოლოს 16 სექტემბერს 1784 წ. მოვიდა ამბავი—ომარხანი ალაზანზე ჩამოვიდაო. ბურნაშევი მაშინვე სიღნაღში მივიდა ჯარით და ურჩევდა ირაკლის ალაზნის, ფონზე დავხვდეთ და გავფანტოთო. მაგრამ ირაკლი გამაგრებას არჩევდა სიღნაღში. მაშინ ომარხანი წყნარად გამოვიდა ალაზანს, აუქცია გზა სიღნაღს და პირდაპირ ტფილისისაკენ გასწია. ამ გაბედულმა გალაშქრებამ ომარხანისამ ირაკლის სრულად აურ-დაურია ანგარიში და დაუსვენებლივ გაეშურა სატახტო ქალაქისაკენ. მაგრამ, მივიდნენ თუ არა ავლაბარში, ომარხანმა ქართლისაკენ გასწია ავჭალაზედ და გზა და გზა თან აოხრებდა ყველაფერს. ისეთი შიში დასცა ქართველობას, რომ ქართველთა ცხენოსანი ჯარი დარიელად უკან აღევნებასაც-კი ვერა ჰბედავდა. საჭირო ამბები მოჰქონდათ დიდის ფასით დაქირავებულს კაცებს. საკვირველიც არ არის, რომ ამისთანა კაცების მოტანილი ცნობები ყოველთვის უსწორ-მასწორო იყო და ისიც მეტად დაგვიანებული.

უკანასკნელად მოვიდა ცნობა—იმერეთზე მივიდა ომარხანი და აბაშიძის ვახანის ციხეს შემოერტყაო. რუსის ჯარი მაშინვე გაეშურა ვახანისაკენ და აქეთ-იქიდგანაც მეფის ლაშქარი თავს იყრიდა. სურამში რომ მივიდნენ, ომარხანი ისევ ვახანში იდგა. ციხე რომ ვერ აიღო, აფეთქება დაუპარა, მაგრამ ამაოდ. მაშინ აბაშიძეს დაუწყო ლაპარაკი, მაგრამ რაწამს აბაშიძე ომარხანის ბანაკში მოვიდა, შეიპყრო და ტყვედ გამოაცხადა. ასეთმა დაუნდობელმა ქცევამ ომარხანისამ მაინც ვერ მოსჩანგა მეციხოვნენი და უფრო მომეტებულის მხნეობით ბრძოდნენ. ირაკლი და რუსის ჯარი რამდენისამე საათის სავალზედ იყვნენ, როცა გაიგეს—ვახანის ციხე აიღოვო, მამაცი მეციხოვნენი აიძულა ციხის კარის გაღებისათვის მოხუც თავადის აბაშიძის გულ-საკლავმა ტანჯვა-წვალებამ. ლეკებმა ძვირად დაუსვეს ვახანელებს კარის გაღება: სულ ერთიანად ამოსწყვიტეს და ციხე საძირკვლამდე დაანგრიეს. ვახნის ციხის აღებამ ხელ-ახლად შეუშალა ანგარიში ირაკლის და უბრძანა ჯარს უკან გამობრუნება. ლეკებმაც გზა აუქციეს ქართლს და იმავე რბევითა და ოხრებით წავიდნენ ახალციხისაკენ.

მთელი საქართველო მინგრელ-მონგრეული *) იყო და ამისთანა ყოფა შაჰაბაზის შემდეგ აღარ ენახა. მეფის მწუხარებას აორკეცებდა განუწყვეტელი საყვედური დედოფლის დარიასი—ეს უბედურება სულ რუსეთის მფარველობამ შეგმატაო; რაც მოგივა, ახიაო; რუსეთისაგან შემწეობა ამ სიშორეზედ რა მოსაფიქრებელი იყო, რამ გაგონაო, ეუბნებოდა მუდამ დედოფალი ირაკლის. დედოფლის აზრისანი იყვნენ მრავალნი თავად-აზნაურნი და მარტო ირაკლის ედებოდა ბრალად ამოდენა უბედურება ქვეყნისა.

ამ დროებში გამოცხადდა რუსოსმალოს ომი და რუსეთის ყურადღებაც დუნაისკენ მიიქცა. ტფილისში მყოფს ორს ბატალიონს არ შეეძლო არავითარის სარგებლობის მოტანა და შემწეობის მოცემა-კი ყოვლად შეუძლებელი იყო; ადვილად შესაძლებელი იყო, თვით ის ორი ბატალიონი შექმნილიყო მტრის მსხვერპლად. ამისათვის ბურნაშევს ებრძანა ტფილისის დატევება და ლინიაზედ გადასვლა. ამავე დროს პოტემკინისაგან საქართველოში მიმავალს გზაზედ აგებული სიმაგრენი სრულიად შემუსრეს. დარჩა ირაკლი პირის-პირ გაძლიერებულ-გათამამებულის მტრისა და ხელებს იფშვნეტდა—ეს რა მომივიდა, ეს რა მიყვესო!...

ამ ნაირად, ასე უკუღმართად დაბოლოვდა რუსეთის პირველი სურვილი, რომ მაგრად მოეკიდებინა ფეხის საქართველოში. მაგრამ სურვილი მაინც-კი წინად მაუწყებელი იყო მთელის საქართველოს რუსეთის მიერ დამორჩილებისა და ეს ამბავი ხომ შესრულდა კიდეც იმპერატორის პავლეს დროს.

„მხოლოდ მადლობა, უნდა შევსწიროთ ღმერთსაო, ამბობს გენერალი ფადეევი თავისს „წერილებში კავკასიდგან“: რომ ეს საქართველო პავლეს დროს დივიპყარით. სამი-ოთხი წელიწადი რომ ჩამოეცადნათ, სამართლიანად შენიშნავს იგი: მაშინ, ალექსანდრე 1 მეფობის პირველს ნახევარში, ევროპიელთა განუწყვეტელ ომიანობის დროს, რომელიც განაბჭობდა სახელმწიფო ინტერესებს, ჩვენ კავკასიისათვის აღარავინ მოგვაცლიდა, ხოლო 1815 წლიდგან-კი ჩვენის მხრივ ამ ქვეყნისაკენ მცირე ხელის წატანებაც-კი კავკასიის საქმეს ასტეხავდა და ევროპიელთა საცილობელად გადაჰქმნიდა“.

პ. ცხვილოელი.

(შემდეგი იქნება)

---

*) ეს ცნობები ბურნაშოვის კალამს ეკუთვნის და მეტად გაზვიადებული არის. ყველაფერი ბურნაშოვის ბრალი იყო. ირაკლის სურათი მეტად მკრთლად არის დახატული ბურნაშოვისაგან და თავის სიმხდალესა და გაუბედაობას ირაკლის აწერს. ახალციხიდამ წასული ომარხანი ჩავიდა ყარაბაღში იბრეიმ ხანთან. ირაკლი და ბურნაშოვი განჯაში ჩავიდნენ, მაგრამ ის-ის იყო უნდა შებმოდნენ მტერს, რომ ბურნაშოვი ცივად გამობრუნდა, როგორც ტოტლებენი ასპინძაში, და ირაკლის თხოვნას ყური არ ათხოვა. იხ. ქართ. ცხ. 499 გვ.

ხული პური, ან კარგს მოსავალს მოელიან, გააადვილონ გადატანა ამ პურისა იმ ადგილებში, სადაც აკლიათ, განსაკუთრებით-კი შუა რუსეთისა და ვოლგის პირის შუა გუბერნიებში, სატარიფო კომიტეტმა გადასწყვიტა: 1) ყოველ გვარის პურისა და აგრეთვე საზეთო ხორბლეულობის გადასატან-გადმოსატანად ვაგონებით, ყოველს სადგურზე, თუკი შესაფერს მოწმობას წარმოადგენენ ან საგუბერნიო, ან საერობო გამგეობისაგან, დაწესდეს გადასახადი ფუთზე $^{1}/_{100}$ კ.; 2) გადასახადი პურისა, გარდა საზეთო ხორბლეულობისა, ვაგონებით გადატან-გადმოტანაზე იმ სადგურებზე, რომელიც დასავლეთ საზღვრების ნავთ-სადგურებთანაა, უნდა იანგარიშებოდეს უკვე მიღებულის წესით, გარნა 50% დაკლებით, ხოლო ისე-კი, რომ ფუთიდგან ვერსზე $^{1}/_{100}$-ზე ნაკლები გადასახადი არ მოვიდეს სამხრეთ დასავლეთის გზებზე გადატანის დროს; 4) ზემოხსენებული გადასახადები შემოღებულ უნდა იქმნას 26 ივნისიდგან.

„Нов. Вр."-ს გაუგონია, საბოლოოდ გარდასწყდა, რომ სამრეწველო რკინის გზების გაყვანას შეუდგნენ ახალის საიაფო წესითაო. გზებს გაყვანის პროექტის შედგენა მიენდობა ადგილობრივ დაწესებულებათ, რომელთაც უნდა შეადგინონ ეს პროექტი უკვე მიღებულის ვარაუდობისა და ღირებულობის მიხედვით. თანხის გასანაღდებოდ შემოღებულ იქნება გარდასახადი ფუთზე $^{1}/_{10}$ კ.

„Гражданинъ"-ი იუწყება, გუშინ მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა და ჟურნალი შეადგინა, რომ ნიჟეგოროდის სათავად-აზნაურო ბანკი დროებით ხაზინამ განაგოს და შვიდი მილიონიც ასესხოს ფულის შემტანთა დასაკმაყოფილებლადაო.

მიტავა. ეიდკუნენზე მრავალი გადასახლებული ებრაელი მიდის და მომეტებულად მოსკოვიდგან წამოსული. გერმანიის მთავრობამ უბრძანა საზღვრის უფროსებს, თუ გადმოსახლებულებს საკმაო შეძლება არა ჰქონდეთ, ისევ უკან დააბრუნეთ სამშობლოშიო.

შანჰაი. ჩინეთში კვლავ უწესოებაა. იმპერატორის ბრძანებამ ვერა გააწყო-რა. სახელმწიფოთა წარმომადგენელნი თათბირობენ ურთიერთ შორის, საერთოდ რა ღონისძიებანი უნდა ვიხმაროთ ამ გარემოებისა გამოო.

27 ივნისი

ლონდონი. „Times"-ს მართლად მიაჩნია, რომ რუსეთმა გადასწყვიტა შაიწყნაროს ბარონ გირშის პროექტი შესახებ ღარიბ ებრაელთა გადასახლებისა არგენტინის რესპუბლიკასა, სირიასა და მცირე აზიაში.

ვინდზორი. სასახლეში გამართულმა მეჯლისმა გერმანიის იმპერატორის პატივსაცემლად, მშვენიერად ჩაიარა. სუფრა გაშლილი იყო 140 კაცისთვის და მოწყობილი სამეფო ოქროს ჭურჭლით, რომელიც ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი ჰღირს.

ნეაპოლი. ვეზუვის პირიდგან მტუტეს ნაკადული მატულობს და ვეტრანის ნაპრალიდამ ობსერვატორიის დასავლეთ მხარემდე მოაღწია.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ივნისი.

	მყიდვე-ლისა.		გამყიდ-ველისა.		გაყიდუ-ლისა.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7	16	7	20	—	„
ტამოჟნის კუპონები .	$143^{1}/_{2}$		144		—	„
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,	04	1,	06	—	„
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	„	—	„	$243^{3}/_{4}$	
—მეორისა	$224^{3}/_{4}$		—	„	—	„
—მესამისა	—	„	—	„	—	„
სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , ,	210		—	„	$211^{3}/_{4}$	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა . .	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დაიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, დააასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ.
პატიოსანი ადამიანი . .	„	5
ლენტის მსგავსნი ჰიებ ი. თ.	„	5
მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . .	„	40
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი.	„	30
სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა.	„	20
ქმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა	„	25
იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი,** ისტორიული პოემა აკაკისა . .	1	„

„წერა-კითხვის საზოგადოების"

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი	„	30
ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ.	„	30
ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . .	„	30
რამდენიმე ლექსი ცახელისა.	„	15
თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . .	2	„
ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . .	8	„
ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . .	3	„
გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან	1	„
წინამძღვარი ზეცისა . .	„	50
წმიდათა ცხოვრება . .	1	20
იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა	„	40
სიბრძნე კაცობრივი . .	1	„
ბრძენი	„	30
მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით.	„	50
მოკლე ფრანგული გრამატიკა	„	40
მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით .	1	20
მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა.	„	50
მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . .	„	40
მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით .	„	50
მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის-მეტყველებას და ზნეობას ყდით.	„	50
წამება, ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა, ყდით . . .	„	60

საგალანტერიო მაღაზია

პ. ი. ბროდსკისა

გადავიდა შუა-ბაზარში, კათოლიკეთა ეკლესიის კუთხეზედ, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო.

(20—72—17)

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ

„ქმური სიტყვა"

დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში;

ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;

გორში არსენ კალანდაძესთან;

თელავში ილია ზარაფოვთან;

სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.

ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—4)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

1891-ის წლის პირველის ენკენისთთვიდგან იხსნება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში (რომელიც შესდგება ამჟამად ოთხის მოსამზადებლის და ორის პროგიმნაზიულის კლასისაგან) **მესამე პროგიმნაზიული კლასი.**

სკოლა ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის პირველის, მეორის, მესამე და მეოთხე კლასისთვის, რეალურ სასწავლებლის პირველ კლასისთვის და კორპუსისათვის. ქართულს ენას გარდა, სკოლის პროგრამმა სრულიად ეთანხმება აღნიშნულ სასწავლებლების პროგრამმას.

მომავალ ენკენისთვისათვის სკოლაში არის პანსიონერებისსა და გარეშე მოსიარულეთათვის სულ 81 ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—30, მეორე განყოფილებაში—10, მესამე განყოფილებაში—7, მეოთხე განყოფილებაში—7. პირველს კლასში—10 და მეორე კლასში—17.

ზემო აღნიშნულ რიცხვიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მხოლოდ რვა ვაკანსია არის, რომელთაგან სამი საზოგადოების სრულს ხარჯზედ არის და ხუთი საზოგადოების ნახევარს ხარჯზედ. 73 ვაკანსია არის გარედგან მოსიარულეთათვის.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, ის არაფერს არ იხდის; ნახევარს ხარჯზედ მიღებულს-კი გადაჰხდება წლიწადში ათი თუმანი.

გარდა ამისა პანსიონში მიიღებიან თავისს საკუთარს სრულს ხარჯზედ მსურველნი, რომელთაც წლიწადში ოც-ოცი თუმანი უნდა გადაიხადოს.

პირველს განყოფილებაში მიიღებიან ყმაწვილები არა უმეტეს 8 წლისა.
მეორე განყოფილებაში „ „ არა უმეტეს 9 წლისა.
მესამე განყოფილებაში „ „ არა უმეტეს 10 წლისა.
მეოთხე განყოფილებაში „ „ არა უმეტეს 11 წლისა.
პირველი განყოფილებაში „ „ არა უმეტეს 12 წლისა.
მეორე კლასში „ „ არა უმეტეს 13 წლისა.
მესამე კლასში „ „ არა უმეტეს 14 წლისა.

შემომსვლელთათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: 1) მეტრიკის მოწმობა, 2) ყვავილის აცრის მოწმობა და 3) ვისაც საზოგადოების სრულს ხარჯზედ უნდა შემოსვლა, გარდა ხსენებულ დოკუმენტებისა, უნდა წარმოადგინოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოწმობა იმისი, რომ ბანკის დამფუძნებელთაგანია, და აგრეთვე მაზრის მარშლისაგან სიღარიბის მოწმობა. ესევე საბუთებია საჭირო იმათთვისაც, ვინც საზოგადოების ნახევარს ხარჯზედ შემოდის, თვინიერ ბანკის მოწმობისა.

ვისაც სკოლაში შემოსვლა ჰსურს, წლოვანობის შესაფერი ეგზამენი უნდა დაიჭიროს. ვინც დროზედ დოკუმენტებს ვერ წარმოადგენს, ეგზამენის დაჭერის ნება არ მიეცემა და, თუ საზოგადოების ხარჯზე შემოდის, კენჭიც არ ჩამოეტარება.

თხოვნის მიღება დოკუმენტებითურთ შეიძლება გამოცხადების დღიდგან მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной, въ д. Гургенбекова.

მისაღები ეგზამენი და ხელმეორედ გამოცდა დაიწყება მარიამობისთვის 26 რიცხვიდგან და გაგრძელდება პირველ სექტემბრამდის.

გარედგან მოსიარულეთათვის სწავლის ფასი თორმეტი მანათია. როგორც გარედგან მოსიარულე, ისე პანსიონერი მოვალეა, დაწესებულ ფულის ნახევარი შემოსვლისათანავე შემოიტანოს და ნახევარიც იანვარში.

მშობელნი ვალდებულნი არიან, შვილები რიგიანად ჩაცმულნი მოიყვანონ თანახმად სკოლის მოთხოვნილებისა და საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სასწავლო ნივთებიც არ აკლდეთ. ამიტომ, ვინც მშობელთაგანი ტფილისში არ ცხოვრობს მუდამ, ვალდებულია, თავის მაგიერი ვინმე ტფილისში მცხოვრებთაგანი წარუდგინოს თავდებად, რომელიც მოვალე იქნება აღასრულოს სკოლის ყველა მოთხოვნილება შესახებ ყმაწვილისა, რომელსაც ჰთავდებობს.

შენიშვნა: ნახევარს ხარჯზედ მიიღებიან ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრის თავად-აზნაურთა შვილები.

Дозв. ценз. Тифлисъ, 27-го Іюня 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე